# ხელშეკრულება N 121
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

29 ივნისი 2017 წელი

ქ. ბათუმი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის არჩილ სირაბიძის სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის №ს-162 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე რომან ცისკარაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), გამარტივებული შესყიდვის შედეგად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, (კლასიფიკატორის კოდი - 98513000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტია: მუშახელის მომსახურება.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 155 ლარს.

### 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველი მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - რეზო ქათამაძე.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 31 ივლისამდე.

### 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშკრულების 5.2. პუნქტში.

### 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

### 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული

შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

## 9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებებისშესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| *„შემსყიდველი“* | *„მიმწოდებელი“* |
|---|---|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | ინდ. მეწარმე „რომან ცისკარაძე“ |
| ტელ: (422) 27-35-10 | ტელ: |
| მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119 | მისამართი:ქ. ბათუმი, გუდიაშვილის ქ. N1 |
| | საბანკო რეკვიზიტები: |
| | ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ |
| საიდენტიფიკაციო კოდი - 245429200 | ბანკის კოდი - LBRTGE22 |
| | ა/ნ – GE46LB0112114045778000 |
| | საიდენტიფიკაციო კოდი -61006020822 |
| ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი: | ინდივიდუალური მეწარმე: |
| /ა. სირაბიძე/ ბ. ა. | /რ. ცისკარაძე/ ბ. ა. |

# ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

მე, ქვემოთ ხელის მომწერი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ვადასტურებ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და ინდ. მეწარმე „რომან ცისკარაძეს შორის 2017 წლის 29 ივნისს გაფორმებული №121 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - რეზო ქათამაძე არ ვიმყოფები მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

/რ. ქათამაძე/

29 ივნისი 2017 წელი